საქართველოს მთავრობის

დადგენილება №379

2025 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის №474 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2024, 470000000.10.003.024868) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2025 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №6 დანართის („ტუბერკულოზის მართვა“ – პროგრამული კოდი 27 03 02 06) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15 595.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება – 13 200 ლარი თვეში)	4,613.0
2	ლაბორატორიული კონტროლი და ნახველისა და სხვა საკვლევი მასალის ლოჯისტიკა	2,000.2
3	სტაციონარული მომსახურება	7,010.0
4	პენიტენციური დაწესებულებებისთვის ტუბერკულოზის მართვისთვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა	17.8
5	ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონული მართვა და მონიტორინგი	54.0
6	ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების სრულად და მეორე რიგის მედიკამენტების სრული ღირებულების არაუმეტეს 90%-ის შესყიდვა	1,500.0
7	სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა სრულად და სენსიტიური ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა არაუმეტეს 75%-ის ოდენობით ფულადი წახალისების დაფინანსება	400.0
	სულ:	**15,595.0.**“.

2. №17 დანართის („იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა“ – პროგრამული კოდი 27 03 03 06):

ა) მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ.გ) ცისტური ფიბროზით (მუკოვისციდოზით) დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა:

დ.გ.ა) პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა;

დ.გ.ბ) მუკოლიზური საშუალება დორნაზა ალფას შესყიდვა;

დ.გ.გ) საინჰალაციოდ სტერილური ჰიპერტონული მარილიანი ხსნარის შესყიდვა;

დ.გ.დ) კომბინირებული პრეპარატის – იპრატროპიუმ ბრომიდი მონოჰიდრატის / ფენოტეროლ ჰიდრობრომიდის შესყიდვა;

დ.გ.ე) აცეტილცისტეინის შესყიდვა;

დ.გ.ვ) ურსოდეოქსიქოლის მჟავას (ursodeoxycholic acid) შესყიდვა;

დ.გ.ზ) საინჰალაციო/ინტრავენური ანტიბიოტიკების (კოლისტიმეთატის ნატრიუმი, ტობრამიცინი) შესყიდვა;

დ.გ.თ) ცხიმში ხსნადი ვიტამინების კომპლექსის (A, D, E, K) შესყიდვა;“;

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება სრულად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს დანართ №17.2-ში მითითებული ტარიფისა. ამასთან, დანართი №17.2-ით განსაზღვრულ ცისტური ფიბროზის (მუკოვისციდოზი) შემთხვევაში ფაქტობრივი ხარჯი განისაზღვრება გატარებული საწოლდღის მიხედვით, სადაც საწოლდღის ღირებულება შეადგენს 143 ლარს. დანართი №17.2-ით განსაზღვრული ერთეულის ღირებულებები არ მოიცავს პროგრამის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით შესყიდული მედიკამენტების ღირებულებას.“;

გ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 55 705.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება	90.0
2	ფენილკეტონურიისა და ფენილალანინემიის ყოველთვიური მონიტორინგი და ამბულატორიული მეთვალყურეობა	110.0
3	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა სტაციონარული მომსახურება	300.0
4	ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა სამედიცინო მომსახურება. მ.შ.	340.0
4.1	ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება (გარდა ენდოპროტეზირებისა)	300.0

4.2	ჰემოფილური ართროპათიით გამოწვეული დაზიანებული სახსრის ენდოპროტეზირება	40.0
5	იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	54,865.0
5.1	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	600.0
	სულ:	**55,705.0** .“;

დ) მე-9 მუხლს მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

„10. მე-3 მუხლის „დ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფარმაცევტული პროდუქტი (გარდა იმ პროდუქტებისა, რომლებსაც „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნებით არ ესაჭიროებათ რეგისტრაცია) რეგისტრირებული უნდა იყოს „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის №188 დადგენილებით (შემდგომში – №188 დადგენილება) განსაზღვრული შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე, რაც უნდა დადასტურდეს №188 დადგენილების დანართით განსაზღვრული შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტით ან წარდგენილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ რეკომენდებული ფორმით, გაცემული ბოლო ერთი წლის განმავლობაში, №188 დადგენილების დანართით განსაზღვრული მარეგულირებელი ორგანოს მიერ, №188 დადგენილებაში მითითებული რომელიმე ქვეყნის ან საქართველოს ბაზრისთვის.

11. ცისტური ფიბროზით (მუკოვისციდოზით) დაავადებულთათვის პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შედეგების შეფასების ინდიკატორები მტკიცდება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

ე) №17.2 დანართის (იშვიათი და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების სტაციონარული მომსახურება) 36-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„36	ცისტური ფიბროზი (მუკოვისციდოზი)	E84	2,000“.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ნოემბრიდან.

3. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ჩამოყალიბებული „დ.გ“ ქვეპუნქტის „დ.გ.გ“, „დ.გ.დ“, „დ.გ.ე“ და „დ.გ.ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მედიკამენტებით ბენეფიციარების უზრუნველყოფა განხორციელდეს 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან, ხოლო „დ.გ.ზ“ და „დ.გ.თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2025 წლის პირველი ნოემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**